პროექტი

საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997, გვ. 86) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ თანამდებობის პირს ან/და მისი ოჯახის წევრს ახლო ნათესავი გადასცემს საჩუქრებს, რომელთა საერთო ღირებულება ერთი წლის განმავლობაში აღემატება საარსებო მინიმუმის ათმაგ ოდენობას, თანამდებობის პირი საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიუროში წარადგენს გადაცემული საჩუქრების დასახელებას, ღირებულებას/ოდენობას და მიუთითებს მჩუქებლის ვინაობას.“.

2. მე-14 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თანამდებობაზე გამწესებიდან ერთი თვის ვადაში პირი ვალდებულია შეავსოს და საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიუროში წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიურო დეკლარაციის დამოწმებულ ასლს გადასცემს თანამდებობაზე გამამწესებელ ორგანოს/ორგანოებს, თანამდებობის პირს.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი ვალდებულია პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციიდან ერთი კვირის ვადაში საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადგენილი, გამარტივებული ფორმით შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.“

გ) მე-8 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ამ მუხლით დადგენილ ვადებში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შეუვსებლობისა და წარუდგენლობის შემთხვევაში საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიუროს უფროსი პირს განუსაზღვრავს

ათდღიან დამატებით ვადას დეკლარაციის შევსებისა და წარდგენისათვის და წერილობით აფრთხილებს ამ ვადაში დეკლარაციის წარუდგენლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ. დამატებითი ვადა აითვლება პირისათვის გაფრთხილების ოფიციალური გაცნობიდან.

9. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია შეივსება საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით.".

2. მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18

1. დეკლარაციის მიღებას, შესაბამისი თანამდებობის პირის ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საჯაროობისა და დეკლარაციების დროულად ჩაბარებაზე კონტროლს, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიურო (შემდგომში – ბიურო).

2. ამ კანონის მიზნებისთვის, ბიურო უზრუნველყოფს:

ა) თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ტექნიკურად სწორად შევსების შესახებ ინსტრუქციის შედგენას;

ბ) თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დეკლარაციის ფორმის დაუბრკოლებლად მიღებას;

გ) თანამდებობის პირის მიერ შევსებული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღებასა და შენახვას;

დ) თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შინაარსის საჯაროობას;

ე) „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კურუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლში მოცემული ჩამონათვალის საფუძველზე, იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის შედგენას და საქართველოს პრეზიდენტისათვის დასამტკიცებლად წარდგენას, რომელთათვისაც დეკლარაციების შევსება სავალდებულოა, აგრეთვე რეესტრში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების მომზადებას და საქართველოს პრეზიდენტისათვის დასამტკიცებლად წარდგენას;

ვ) კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული სხვა ფუნქციების განხორციელებას.".

3. მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულებას გამოსცემს ბიუროს უფროსი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. პირმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულების ოფიციალური გაცნობიდან არა უგვიანეს 30 დღისა. ჯარიმა გადახდილად ჩაითვლება ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ბიუროში წარდგენის შემდეგ. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს პირს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან.".

4. 21^1 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2.

1. რეორგანიზებულ იქნეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო

ბიურო საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიუროსთან მიერთების გზით.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიურო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს უფლებამონაცვლე.

3. საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყონ სათანადო კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებამდე საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

5. ამ კანონის ამოქმედების დღისათვის საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს საბიუჯეტო ასიგნებათა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიუროსათვის.

6. ამ კანონის ამოქმედების დღისათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს ბალანსზე რიცხული ქონების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიუროსათვის.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა **მე-2 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებისა, ამოქმედდეს** გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

2. ამ კანონის **მე-2 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ამოქმედდეს** გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*